სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შესარჩევი კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესის შესახებ

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

თბილისი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე დამტკიცდეს რეგლამენტი „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შესარჩევი კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესის შესახებ“.

მუხლი 1. კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის ზოგადი წესი

1. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით მტკიცდება კომისიის შემადგენლობა.

2. კომისია პირველივე სხდომაზე ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და კომისიის მდივანს.

3. კომისია მისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი ბრძანებისა და ამ რეგლამენტის საფუძველზე.

4. კომისია კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მიუკერძოებლობის, კანონიერების, თანასწორობისა და სამართლის საყოველთაოდ აღიარებული სხვა პრინციპების საფუძველზე.

5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც. საკონკურსო კომისიის ყოველი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება კონკურსანტის სასარგებლოდ. ასეთი ინტერესის არარსებობის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის უფლება

1. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს:

ა) რომელსაც როგორც წინა სემესტრში (საანგარიშო პერიოდი), ისე განცხადების წარდგენის მომენტში ჰქონდა თსუ-ში აქტიური სტუდენტის სტატუსი;

ბ) რომელიც წინა სემესტრში იმყოფებოდა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს მუნდუსის პროექტების, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისა და თსუ-სა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (პარტნიორ უნივერსიტეტებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების საფუძველზე.

2. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვს იმ სტუდენტს:

ა) რომელიც სწავლობს დამატებით სემესტრში;

ბ) რომელსაც წინა სემესტრში ჰქონდა 26 კრედიტზე ნაკლები.

მუხლი 3. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, ფორმა და ხარვეზის დადგენა

1. კონკურსანტის (სტიპენდიის მაძიებელი) მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ფაკულტეტის დეკანის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) კონკურსანტის საბანკო ანგარიშის ნომრისამონაწერის ასლი (საქართველოს ბანკიდან);

დ) დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარმოდგენის შემთხვევაში, ასევე, სავალდებულოა პირადობის მოწმობისა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ელექტრონული ვერსიის გამოგზავნა შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: chancellerylaw@tsu.ge. დოკუმენტები უნდა იყოს ერთ PDF ფაილში, ფაილი დასათაურებული უნდა იყოს კონკურსანტის გვარითა და სახელით. განცხადების ელექტრონული ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები უნდა იყოს ერთიანი ფაილის სახით.

ე) არსებობის შემთხვევაში, წინა სემესტრის განმავლობაში საანგარიშო წლის პირველი აგვისტოდან პირველ მარტამდე ან, შესაბამისად, პირველი მარტიდან პირველ აგვისტომდე საქართველოში ან საზღვარგარეთ აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში სამართლის სფეროში ჩატარებულ (მათ შორის, ინტერდისციპლინური) სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი თარიღისა და მოხსენებისსათაურის მითითებით ან/და შესაბამისი ცნობა);

ვ) არსებობის შემთხვევაში, წინა სემესტრის განმავლობაში საანგარიშო წლის პირველი აგვისტოდან პირველ მარტამდე ან, შესაბამისად, პირველი მარტიდან პირველ აგვისტომდე კონკურსანტის მიერ გამოქვეყნებული სტატია ისეთ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც ჰყავს სამეცნიერო საბჭო და აქვს ISSN კოდი. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული სტატიისა და შესაბამისი ჟურნალის სატიტულო ფურცლის ასლები და სარჩევი. თუ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იქნება მითითებული ზუსტი თარიღი, მაშინ წარმოდგენილი უნდა იქნას ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება შესაბამისი ინფორმაცია. სტატიის თანაავტორობით შესრულების შემთხვევაში თანაავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს. წინააღმდეგ შემთხვევაში სტატიის გათვალისწინება არ მოხდება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია

როგორც მატერიალურად, ასევე, ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: chancellerylaw@tsu.ge.

3. კომისია თავისი ინიციატივით მოიძიებს:

ა) ინფორმაციას კონკურსანტის მიერ თსუ იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის თაობაზე (სტიპენდიის მაძიებლის მოთხოვნის შემთხვევაში);

ბ) კონკურსანტის სასწავლო ბარათს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის ფაკულტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ მოთხოვნისთანავე კომისიისთვის მიწოდებული უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია.

4. კომისია ხარვეზის დადგენის შემთხვევაში უფლებამოსილია კონკურსანტისაგან განცხადების განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა. თუ მოთხოვნიდან 1 სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტის მიერ არ იქნა ხარვეზი გამოსწორებული, კომისია განუხილველად ტოვებს განაცხადს.

5. შერჩევის პროცესში მხედველობაში არ იქნება მიღებული ისეთი დოკუმენტი, რომლითაც ვერ დგინდება სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობის ან/და სამეცნიერო სტატიის შესაბამისობა ამ რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან.

მუხლი 4. კონკურსანტის შეფასება

1. კონკურსანტის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მის მიერ წინა სემესტრში (საანგარიშო პერიოდი) მიღებული აკადემიური მოსწრებისა და სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის შედეგები.

2. კონკურსანტის აკადემიური მოსწრება ფასდება 95 ქულით, ხოლო სამეცნიერო აქტივობა 5 ქულით (სულ **100** ქულით).

3. აკადემიური მოსწრების **95** ქულა გამოიანგარიშება შემდეგი წესით: **A:B*C=D**

სადაც:

A არის კონკურსანტის მიერ წინა სემესტრში (საანგარიშო პერიოდი) ცალკეულ საგანში მიღებული ქულების საერთო ჯამი;

B არის საგნების საერთო რაოდენობა;

C არის საანგარიშო კოეფიციენტი 0.95;

D არის აკადემიური მოსწრების კომპონენტში მიღებული შეფასების ჯამური მოცულობა.

4. კონკურსანტის სამეცნიერო აქტივობა ფასდება **5** ქულის ფარგლებში, შემდეგნაირად:

ა) სამეცნიერო სტატია (მათ შორის, უცხო ენაზე) ფასდება **3.5** ქულით;

ბ) წინა სემესტრში სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა ფასდება მაქსიმუმ **1.5** ქულით:

ბ.ა) თსუ ან/და საზღვარგარეთის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა - **1.5** ქულა;

ბ.ბ) სხვა აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა - **0.5** ქულა.

მუხლი 5. დასაფინანსებელ სტუდენტთა ერთიანი სია და შედეგების გასაჩივრება

1. ამ რეგლამენტის მე-4 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით კომისია ადგენს თითოეული სტუდენტის ჯამურ შეფასებას. კონკურსანტთა შორის გამარჯვებულად ჩაითვლება ის სტუდენტი, რომელიც დააგროვებს დანარჩენ კონკურსანტებზე მაღალ შეფასებას.

2. თუ დასაფინანსებელ სტუდენტთა სიაში ბოლო პოზიციაზე გამოიკვეთა ერთნაირი მონაცემების მქონე ორი ან მეტი კანდიდატი, შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს უფრო მაღალი GPA ან წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა. კონკურსანტებს შორის ამ კომპონენტში თანაბარი ქულების დაფიქსირების შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას თანაბარი ქულების მქონე სტუდენტებისთვის სასტიპენდიო თანხის განაწილების თაობაზე.

3. კომისია უფლებამოსილია დასაფინანსებელ სტუდენტთა საერთო სიის შუალედური ვერსია გამოაქვეყნოს საჯაროდ (კონკურსანტის სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითების გარეშე) სტუდენტის საიდენტიფიკაციო კოდის ჩვენებით.

4. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კონკურსანტს, პრეტენზიის შემთხვევაში, უფლება აქვს შუალედური სიის გამოქვეყნებიდან ერთი დღის ვადაში განცხადებით მიმართოს კომისიას სასწავლო ბაზიდან lms.tsu.ge. კომისიის მიერ განაცხადი განიხილება პრეტენზიის მიღებისთანავე, გონივრულ ვადებში. განაცხადი უნდა გამოიგზავნოს შეტყობინების შინაარსის რელევანტური კატეგორიის გრაფიდან - „სასტიპენდიო ქულის გასაჩივრება“.

5. კომისია ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს დასაფინანსებელ სტუდენტთა საბოლოო სიას, თითოეული სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლსა და ანგარიშის ნომრის ამონაწერს საქართველოს ბანკიდან (ელექტრონული ვერსია excel ფორმატი) თსუ-ს საფინანსო დეპარტამენტში გაგზავნის მიზნით. საფინანსო დეპარტამენტში დოკუმენტის გაგზავნა უნდა მოხდეს არაუგვიანეს რექტორის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი ვადებისა.

6. უზრუნველყოფილი უნდა იქნას საერთო სიის საბოლოო ვერსიის საჯაროდ გამოქვეყნება (კონკურსანტის სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითების გარეშე) სტუდენტის საიდენტიფიკაციო კოდის ჩვენებით.

მუხლი 6. რეგლამენტის ამოქმედება და გარდამავალი პერიოდი

1. რეგლამენტი ამოქმედდეს თსუ იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

2. ამ რეგლამენტის ამოქმედებიდან პირველივე შესარჩევი კონკურსისთვის საანგარიშო პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის პირველი მარტიდან 2022 წლის პირველ აგვისტომდე პერიოდი.